ქართული აზრი

GEORGIAN OPINION

№ 43 ნიუ-იორკი. აპრილი 1961 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, APRIL 1961

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".

აბრაამ ლინკოლნი. 1865 წ.

ახალი იმედები.

დიდი ხნის წინ, აზიურ ბარბაროსობის და მრისხანების ეპოქაში, სოლეიმან ხანები და შაჰ-აბასები ცხენებს ათელვინებდნენ ქართველ ყრმებსა დაჭაბუკებს. მაღალი ცივილიზაციისა და კულტურის ეპოქაში კი ხრუშჩოვმა რუსულ ტანკებს ასრესინა ქართველი მამულიშვილები!

სწორედ ხუთი წლის წინ, მარტის დღეებში, **ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, კვლავ გაისმა** ქართული ვაშა და ვიშიც... ქართველი მამულიშვილები დასათ და მწყობრად გამოვიდნენ ქუჩაში და დამპყრობელს განშორება მოსთხოვეს.

რუსულმა საოკუპაციო ჯარმა წითლად შეღება თბილისის მწვანე მდელო.

დამპყრობელმა რუსეთმა ჯერ სომეხ მიქონიანს, ხოლო შემდეგ ხრუშჩოვის პირით ამცნო მსოფლიოს, რომ ქართველები ვერ შეუერიგდნენ სტალინის განგვიერგვინებას და აჯანყდნენო. თუმცა მარტს მაისიც თან მოჰყვა, როდესაც თბილისის ქუჩებში დაყრილი პროკლამაციები აშკარად ლაპარაკობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ დასავლეთის პრესამ, თავისი საბჭოთა კავშირის ყალბი საეკიალისტების შთაგონებით, დიდხანსა ჯიჯგანა სამშობლოსთვის ალსრულებულ მამულიშვილების გვამები და დიდხანსა ლეშავდა მოსკოვის საპროპაგანდო განმარტებას, თითქოს სტალინის განგვიერგვინებით გულნაკლული ქართველები აჯანყდნენ.

წინამდებარე გაზეთმა თავიდანვე გარკვეული პოზიცია დაიჭირა და განაცხადა: „[illegible] ლობით [illegible] დამოუკიდებელ და იძულებითა შრომის ბანაკებში დახოცილი ქართველების შვილები და შვილიშვილები სტალინის სასარგებლო დემონსტრაციებს არ მოაწყობდნენ".

დღეს ხელთა გვაქვს უცხო წყაროდან გამოვლინებული საბუთი, რომელიც ჩვენს მოსაზრებას სავსებით ამართლებს და დასტურებს.

მიუხედავათ მრავალი წმენდების, დატუსაღების და გადასახლების, საქმე მაინც ამით არ დამთავრებულა და თბილისის აღრეულობის გამოძიება, ჩვენი ქვეყნის ჯალათს, რუსი პავლოვისათვის ჩაუბარებია. მასაც, როგორც უფროს ძმასა და მოყვარეს შეშვენის, ოთხი წლის განმავლობაში—ადგილობრივი პირობების შეუსწავლელათ და მოწმეების დაუკითხავათ, ეს საქმე მოსკოვში „ეძიებია. შეესწავლია და დასკენიც გაუკეთებია", რომელიც აღსასრულებლად გადაეცა საბჭოთა კავშირის „თავისუფალ და თანასწორუფლებიან" საქართველოს მთავრობას.

ბონის მთავრობა „ცნობათა და ინფორმაციის ბიუროს", გასული წლის მაისში გამოაქვეყნა მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც, ერთი მხრივ ადასტურებს ხრუშჩოვ-მიქოიანის ვერსიის სიყალბეს, მეორე მხრივ კი ნათლად ამეღვანებს რუსულ ძალადობის საქართველოში.

მოუსმინოთ ჯერ გერმანულ წყაროს:

„აქტიურ სტუდენტების" კრებაზე, რომელსაც დაესწრო მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსული პავლოვი, საქართველოს შინაგანი თავდაცვის უფროსი ინაური და სხ.. საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა მეკავნაძემ განაცხადა: უმაღლესი სასწავლებლები უნდა გაიწმინდოს არა საიმედო მოსწავლეებისგანო.

იქაურმა პრესამ ეს ცნობა მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოაქვეყნა და ისიც სასტიკი ცენზურით და ბუნდოვანათ.

კრების პოლიტიკური ხასიათი კი ნათელი აღმოჩნდა, რადგან ყოველი ორატორი მხოლოდ ბურეუაზიული იდეოლოგიის გავლენაზე ლაპარაკობდა, რომელსაც მოუცავს ახალგაზრდობის გონება.

კრებაზე დამსწრე „ლიდერებმა" ერთხმად გაუსვეს ხაზი, რომ ბურეუაზიული იდეოლოგიით შეპყობილი ახალგაზრდობა სრულიად უსარგებლოა „სოციალისტური სამშობლოსათვის, ნაყოფიერი საზოგადებრივი მუშაობისათვის და კოლეკტივიზმის პრინციპებისათვის"-ო. ზოგიერთებმა კი ქართველ სტუდენტების აღრეულობაში ქართული ეროვნული ბუნება აღნიშნეს, მაშინ, როდესაც „სტუდენტური ახალგაზრდობა საბჭოეთის ხალხთა მგობრობის მებაირახტრენი უნდა იყვენონ".

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში მდგომარეობის ასეთი ფორმულირება სწორედ მაშინ ხდება, როცა ანტირუსული მოძრაობა გამოვლინდება ხოლმე რომელიმე ერში.

საქართველოს კომკავშირის პირველი მდივნის შევარდნაძეს სიტყვიდან სჩანს, რომ კომკავშირმა სავსებით დაკარგა სტუდენტების იდეოლოგიური კონტროლი და ისიც შესაძლებელია, რომ ეს ორგანიზაცია (ე. ი. კომკავშირი) სტუდენტებთან ერთად, ერთ საქმეს აკეთებდეო.

კომკავშირის ყველაზე მაღალმა ფუნქციონერმა პაველო

ახალი იმედები.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

იქ მან თავის გავლენა შემოინახა. ამან შესაძლებლობა დასტოვა რათა ახლად აღმოცენებული სახელმწიფოები არ გამხდარიყვნენ რუსული იმპერიალიზმის მსხვერპლნი და დასავლეთის მიერ დატოვებული ადგილი რუსეთს არ დაეჭირა.

სახელმწიფოებრივი სიბრძნე სწორედ ამასვე მოითხოვდა საფრანგეთიდან, რადგან მხოლოდ ევროპიულ ენერგიას და კულტურას შეუძლიათან შემონახოს აფრიკაში ზომიერება და წესიერება. სამწუხაროდ საფრანგეთი ამ გზას ასცდა და მხოლოდ დღეს მისცა თეორიული დასტური ე.ი. ბოლშევიკიზმ. ეს ურყევ ვარდაწყვეტილებას. თუ დე გოლი ალჟირელებთან დაზავდა, თუ შვიდი წლის განმავლობაში თავისუფლებისთვის მიძღვნილთა უმანკო სისხლმა უქმად არ ჩაიარა, მაშინ საფრანგეთისათვის პირველი და გადაუდებელი საქმე იქნება: მან იქ ისეთი ურთიერთობა დაამყაროს რომ აფრიკიდან განდევნოს კომუნიზმი და ის კვლავ ევროპას დაუბრუნოს. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ნიჭთან და უნართან ერთად, მთელი ფრანგის ერის მთლიან და გაულწრფელ თანამშრომლობას თავის დღევანდელ პრეზიდენტთან.

აზიაში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა წითელი ჩინეთის ეკსპანსია. ახალი მიწის ძებნაში ჯერ კიდევ მრავალ საფათრაკო მომენტებს წარმოშობს მაო ცე-დუნის აზიური კომუნიზმი.

ახალ წელს ძველმა უანდერძა გერმანიის გერთიანების და ბერლინის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი წლიდან მე მკვიდრეობით მიღებული საკითხები მძიმეთ აწევები ახალს, მაინც უნდა ვიგულისხმოდ, რომ დასავლეთისათვის 1961 წელში უფრო ადვილი იქნება ამ საკითხების მოგვარება, ვიდრე განვლილ წელს იყო.

დასავლეთში მაინც ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. თავისუფალი დემოკრატიული სამყაროს წამყვან—შეერთებულ შტატებს ახალი პრეზიდენტი და ახალი პოლიტიკა დაეუფლა. ჯერ-ჯერობით ნიშნებია ვიფიქროდ, რომ ის ინიციატივას მოსკოვს აღარ დაუთმობს.

კენედიმ ივარაუდა, თუ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს დახმარება გაუძლიერა და მას გონიერი პროპაგანდა თან მიაყოლა, თუ თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებს სანუგეშო სიტყვასთან ერთად საქმეც აჩვენა, ცხადია მას თავისუფლების მოყვარულ ალეკბრიობის სიმპატია და ნდობა ზღვაბრ შემოადგება და კომუნიზმთან დაპირდაპირებაში მისი გამარჯვება დაზღვეული იქნება.

ირმელი.

სიმართლე ოგბერლენდერის შესახებ

აღმოსავლეთ ბერლინში გამომავალმა გაზეთმა „სამშობლოს ხმამ“ (იგივე „სამშობლოში დაბრუნებისთვის“) 1960 წლის ივლისის ნომერში გამოაქვეყნა წერილი: „ობერლენდერის ბნელი საქმეები“, რომელიც ფაქტების გასაოცარი დამახინჯებით და ცრუ ბრალდებებით არის შედგენილი.

აქ ორი შესაძლებლობაა დასაშვები. პირველი: წერილის ავტორს ყალბი ინფორმაციები აქვს და მეორე: ავტორი ფაქტებს განგებ ამახინჯებს განსაზღვრული მიზნით და მოსაზრებით.

ორივე შემთხვევაში წერილი მიზანს ვერ აღწევს, რადგან ქართული ემიგრაციის უმეტესმა ნაწილმა ამ საქმის ვითარება კარგად იცის.

აქვე გვინდა გაოცება გამოვთქვათ იმის გამო რომ „სამშობლოს ხმა“ ცდილობს ასეთი წერილებით ბრძოლებში გამოუქიდილ ეროვნულ ემიგრაციაში. „ნდობა“ დაიმსახუროს.

თუ „სამშობლოს ხმას“ დაუჯერებთ საბჭოთა საქართველო საერთოდ აქ ქეკინერი სამთხეთა და იქ არავითარი ნაკლის მოძებნა არ შეიძლება. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მან უნდა აგვიხსნას —სხვათა შორის, იმ რეკიმის სისაღე, რომელმაც სტალინს ნება მისცა ათასობით უდანაშაულო ქართველები დაეჭირა, გაუსამართლებლად გადაესახლებინა, სიკვდილით დაესაჯა და „მავნებლათ“ გამოეცხადებინა. ხოლო მათი შვილები აიძულებინა საჯარო კრებებზე გამოსულიყვნენ და საკუთარი მშობლები დაეგმოთ. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი მისი უახლოესი თანამშრომელი აცხადებს, რომ ამ ხალხს დანაშაული არა ჰქონათ და ისენი სტალინის ტირანიის მსხვერპლები იყვნენო. ამ ტირანიის „დაგმობის“ სულ მცირე ხნის შემდეგ „გაუმჯობესებულ სამთხეზეა“ 1956 წლის მარტში. რამოდენიმე ასეული ქართველი სტუდენტი დემონსტრანტი რუსული ტყვიით, ხიშტით და ტანკებით გაქლიტეს. ვანა თავისუფალ და ბედნიერ ქვეყანაში მოქალაქეებს თვვისი აზრის გამოთქმის უფლება არა აქვთ? დემონსტრაციით, თავსუფალი გაზეთის გამოცემით, კრებებით, თუ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებით?

[illegible] ბერლინის მთავრობის ოფიციალური კურსი უამისოთაც ბერგმანის და ლეგიონების მსგავსი ნაწილების წინააღმდეგ იყო და ის მათ უნდობლობის თვალით უყურებდა. უცხო ერთვნებების სამხედრო ნაწილები გერმანელი სარდლობის მიერ იყო ჩამოყალიბებული ჰიტლერის პირდაპირი დასტურის გარეშე. ცხადია ასეთი შეთქმულება სარდლობის პოზიციას ასუსტებდა და თვით ამ ნაწილებს საფრთხეში აიდებდა, მაგრამ ამას მოგვიანებით დაუბრუნდებით.

ზეთი ახსენებს ყოფილი წითელი ჯარის ოფიცრები—შ. ტაბიძის და ს. წოკლაურის მიერ მოწყობილ კომუნისტურ შეთქმულებას, რომელიც მიზნად ისახავდა, ფრონტზე ვასვლის შემთხვევაში, არა თანამოაზრე ქართველების და გერმანელების დახოცვას და წითელი ჯარის მხარეზე გადასვლას. ასეთი შეთქმულება მართლაც მოხდა და მისი მოგონება, მიუხედავთ განვლილი დროისა, დღესაც მტკივნეულია ყოველი ქართველისათვის.

ამ საკითხზე პირველად არ იწერება ემიგრანტული პრესაში. მკითხველს მიუთითებთ არგენტინაში გამოსულ ქართულ კრებულის „მამულის“ 1953 წლის მეექვსე ნომრის 205 გვერდზე მოთავსებულ წერილზე—„რედაქტორ ბ-ნ ვ. ნოზაძეს შენიშვნით. ზემო ნახსენები წერილის ავტორიც და ვ. ნოზაძეს იყვნენ ბერგმანში და სხვა მრავალ ქართველებთან ერთად იქ მომხდარი ამბის ცოცხალი მოწმენი არიან.

ამ წერილის ავტორი „ბერგმანში“ სამი თვითხი კვირის მისული იყო, როცა შეთქმულება გამომჟღავნდა და ამის შესახებ მან არაფერი იცოდა. ამ დროს მე თვითონ ახალი განთავისუფლებული ვიყავი გერმანელთა საკონცენტრაციოული ბანაკიდან. (თავდებობის ქვეშ) სადაც გაგზავნილი ვიყავი გერმანელების კრიტიკისათვის და სადაც 1941_1942 წლის ზამთარი გავატარე. ასევე სრული სიცრუეა ბ-ნ იქ. რევაზ გოგიტიძესადმი „ბრალდება“, რომელიც უნცარს ექიმად მუშაობდა და არაფერი საერთო ამ საქმესთან არ ჰქონდა და მასში არა ვითარი სახით არ ჩარეულა. არც ერთი ბერგმანელი „გესტაპოელი“ არა ყოფილა და ვინც კი ვერმანული ჯარის ელემენტარული წყობა იცის დამეთანხმება, რომ ჯარი და გესტაპო ერთიმეორესადან სავსებით გაყოფილნი იყვნენ და მხედრობა, საერთოდ, გესტაპოს ზიზღითაც უყურებდა.

შეთქმულება გასცა ჯარისკაცმა ზურგაშვილმა და თარჯამნად მასა და ბატალიონის უფროს შორის ქართველი ემიგრანტი იყო, რომელიც დღესაც ცოცხალია. ობერლენდერი ამ ამ ბავმა საგონებელში ჩააგდო და ალბათ ამიტომ ეს ამბავი მეც გამიზიარა.

„სამშობლოს ხმა“ დრამატიულად [illegible] საბჭოთა ადამიანების თვისებებს, მათ შეგნებას და საბჭოთა პატრიოტობას კაპ. ს. წოკლაურის და უფროსი ლეიტენანტი შ. ტაბიძის დახასიათების დროს. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ ფაქტები სულ სხვას გვეუბნებიან.

კაპიტან წოკლაურთან რამოდენიმე კვირის განმავლობაში ერთ ოთახში ვცხოვრობდი. ჩემი შეფსებით სიმონი ნამდვილი ვეკაკი იყო, მტის მტად ამაყი ბუნების მთელი. მე მას პატივს ვცემდი. მასთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავი და ხშირად ვსაუბრობდით. მისი მოყოლის მიხედვით ს. წოკლაური წითელი ჯარის კადრის ოფიცერი იყო და ომის დროს და საცეთის ფრონტზე ბატალიონს ხელმძღვანელობდა. სხვა მრავალ მოვლენათა შორის სიმონი უკმაყოფილო იყო წითელ ჯარში პოლიტრუკების სისტემით, მეთაურთა დატუსღებებით და მათი ფიზიკური—განადგურებით. მას არც ის მოსწონდა, რომ საქართველოში .დასა წყისში ჩამოყალიბებული წითელი ქართული ლეგიონები დაშლეს და ქართველი რიგითი არმიელები და მეთაურები რუსეთში გაფსტტეს. იგი ასევე წინააღმდეგი იყო ხალხის შეგეწროვებისა საქართველოში. წოკლაურს მისი ნაწერის პოლიტიკუმა შეურაცყოფა მიაყენა და სიცოცხლე გაუშწარა. ამიტომ, ომის დროს მათ შორის განხეთქილება მოხდა. სიმონმა პოლიტრუკი მოკლა და გერმანელების მხარეზე გადავიდა. მან გერმანულ ჯარში მოხალისეთ ჩაწერის სურვილი განაცხადა და გერმანელებს კავკასიის ერთ-ერთ უბანზე სამხედრო მოქმედების გეგმაც წარუდგინა. ტყვეთა ბანაკში იგი დაკითხა გერმანელმა დოკ. რაუპახმა. წოკლაურის გეგმა გერმანელებმა მიაწერნეს და **მიიღეს. ამის შემდეგ ს. წოკლაური გადაიყვანეს** კავკასიურ სამხედრო ნაწილ „ბერგმან“-ში. რომელსაც უფროსი ლეიტენანტი პროფესორი ობერლენდერი მეთაურობდა. ეს მოხდა 1941 წლის ზაფხულში თუ შემოდგომაზე—სილეზიაში. გერმანელებთან გადმოსვლის დროს ს. წოკლაური, ისე როგორც მრავალი სხვა ტყვე, ფიქრობდა, რომ გერმანია საბჭოთა ტირანიას დაამხობდა და საქართველოს და სხვა საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს თავისუფლებას და ბედნიერებას მოუტანდა. სამწუხაროდ [illegible] ნახა, რომ გერმანელები დაყოფობილ უკრაინაში სხვანაირად იქცეოდნენ. მაგალითად ტყვეთა ბანაკებში საწინელი პირობები გამოფდნენ. ვაფლაიტერი კოხის ბრძანებით უკრაინელი პატრიოტები, რომლებიც გერმანელებს ეხმარებოდნენ, ციხეში ჩაყარეს. მათი დანაშაული უკრაინის (ე. ი. საკუთარი სამშობლოს სიყვარული იყო) და მოითხოვდნენ უკრაინის დამოუკიდებლობას. ჰიტლერს კი ეს ტერიტორია რაიხის კოლონიათ უნდოდა. გლეხებისა-

ხმა ჯოჯოხეთიდან.

აღმოსავლეთ ბერლინში გამომავალ რუსული კომუნიზმის სახროპაგანდო გაზეთი (რომელსაც უკანასკნელ ხანებში რატომღაც „სამშობლოს ხმა“ დაარქვეს) დიდი მუყაითობით ცდილობს ქართველ ხალხს თვალში ნაცარი შეაყაროს და შავი თეთრად მოაჩვენოს.

მართალია ამ დემაგოგიამ ქართველებში ფესვი ვერ გაიდგა და მისმა მოწოდებებმა რათა რუსეთის მიერ დაპყრობილ და უფლება აყრილ „სამშობლოს“ სამშობლოს ერთგული შვილები დაუბრუნოს, ვერაფერიათ მიზანს ვერ მი აღწია და მას მხოლოდ ანტიკომუნისტურ ქართულ ეროვნულ ემიგრაციაში შემოპარული ჩეკისტები და ჩეკის აგენტები „დაუბრუნა“, მაგრამ მისი სითავეხედ. ისტორიული ფაქტების დამახინჯება და დემაგოგიური პროპაგანდა ისე შორს წავიდა, რომ საჭიროთ მიგვაჩნია ზოგიერთი ისტორიული მოვლენის აღდგენა და მისი ობიექტიური ანალიზი.

ეს მითუმეტეს საჭიროა, რომ დაპყრობილ საქართველოში მხოლოდ ერთად ერთი პრესა არსებობს,—პრესა რუსული იმპერიალიზმის აგენტების და მისი მსახურების. დანარჩენებს კი ყველას ერთნაირად აკრული აქვთ პირი და იძულებულნი არიან იდუმალებაში გადახარშონ უტიფარ კალმოსნების უტიფარი პროპაგანდა.

ჩვენ შემდეგში შევეცდებით მოსკოვის მიერ შეთხზული ყოველი „ფაკტი“ დავშალოთ, დავარღვიოთ და დემაგოგებს თვალებში შეეყაროთ.

ეხლა კი მსითხველის ყურადღება გვინდა შეეპაროთ ზემოხსენებული გაზეთის ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ მეთაურზე: „ოქტომბრის დროშით“. აქ რედაქცია კომუნისტ მოხელისათვის ჩვეული უმართებულობით და სიყალბით აგვიწერს, თუ რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს.

ისტორიული სინამდვილის თავიდან ასაცილებლად ავტორი აცხადებს: „ერთ პატარა საგაზეთო წერილში, ცოტა არ იყოს ძნელია ყველაფრის ალნიშნვა, თუმცა მთავარი მაინც შეიძლება ითქვას“-ო.

რას შეიცავს ეს მთავარი? ისტორიის დამახინჯებას, შავის თეთრად მოჩვენებას. ის რაც ყოველი ადამიანის თვისება, მოთხოვნილება და უფლებაა, ის რაც ერის და მისი კურთხეული მიწის კუთვნილებაა—მზის სიმხურვალეცის სიკაშკაშე, ბუნების სინარნარე, მიწის სიწნოყიერე და ნაყოფიერება—ოქტომბრის მონაცემად არის გამოცხადებული.

სიტყვების რახა-რუხი, მეტეორების ტყორცნა, ჩირაღდნების კოკონები, მტრედების აფრენა და წითელ დროშების ფრიალი წინ უძღვის ქვემოდ ჩამოთვლილ „მიღწევებს“. რათა მკითხველს თავი დაუბრუოს და კრიტიკის უნარი წაართვას.

(ან კი რომელი ცუდ ვარსკვლავზე დაბადებული ქართველი გაბედავს რუსულ მწვალებლური რეკიმის ქვეშ მგმინავ საქართველოში მოსკოვის მიერ ბოძებულ პოლიტიკური კურსის კრიტიკას?).

ზემოხსენებული წერილის ავტორი სვამს კითხვას: „რა გვაქვს? ყველაზე მძლავრი და ყველაზე ძლიერი“? და თვითონვე უპასუხებს: „თავისუფლება, ადამიანის წმინდა სახელი, შრომის უფლება, სწავლის უფლება. გვაქვს მძლავრი სამშობლო, მტკიცე მარჯვენა, შრომის სიყვარული, დაუშრეტელი ენერგია, ულეველი ბარაქა, აყვავებული ქალაქები და სოფლები, საკუთარი ხელით ნაშენი გიგანტები, მოქარგული ზღვა და ხმელეთი, მთა და ხეობა, ბაღვენახები, დამორჩილებული ყამირები და წალკოტად ქცეული კურორტები. აზრისა და გონების დიდი ზეიმი, კოსმოსში ნავარდი, ვარსკვლავების კვლევა-ძიება“-ო.

ხედავ მკითხველო რამდენი რამე მიუცია ოქტომბერს საქართველოსთვის? თუმცა. რა უყოთ? ურწმუნო თომები ვართ და მაინც ეჭვი გვეპარება, რომ როგორიც არ უნდა კეთილად ყოფილიყო განწყობილი ოქტომბერი საქართველოსთან მაინც არა გვჯერა. რომ მას „მოქარგული ზღვა და ხმელეთი“ და „მთები და ხეობები“ მიეძღვნა!

ვიდრე ამ საკითხეს ცალ-ცალკე შევიხებინ დეთ საქიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ოქტომბრის რევოლუცია სუფთა რუსული მოვლენაა და ამაში ქართველ ხალხს არაევითარი წილი არ უდგეს.

1917 წელს ნიკოლოზ მეორის გადადგომით რუსეთში შექმნილი ანარქია რუსმა „ისტორიკოსებმა“ რევოლუციად მონათლეს და მას ქუჩის მატნიგის ხელისნები მეთაურებად მიუჩინეს, რომლებმაც ანტანტის (ანგლო-ფრანგული კოალიცია პირველი ომის დროს) ერთგულება არ გააყალბეს და გერმანელებთან ომის გაგრძელების პოზიცია დაიჭირეს. საპასუხოდ გერმანელებმა „მაღალი იდეალიტი“ ლენინი დალუქული ვაგონით და გერმანული მარკებით გაუგზავნეს რუსის ხალხს „რევოლუციის გასაორმაგებლათ“. ლენინმა მხოლოდ ერთი ესმხედრო გემის მსახურებით მოახერხა დროებითი მთავრობის და დამფუძნებელი კრების გაჩეკვა (თებერვლის რევოლუციის ლიდერი ქალის ტანსამოსში გადაცმული გაიქცა!!) და ძალა-უფლება ხიშტებით და ტყვიამფრქვეველებით მიისაკუთრა. ლენინი მონგოლური მრისხანებით შეუდგა ახალი რუსეთის „აშენებას“. რის გამოც „რევოლუციონერი გენერლები და პრინცები“ მას დაეშორა და ქვეყანა სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია. აქ რუსის ერმა გამოიჩინა ისტორიულ-ტრადიციული გენი და როგორც ყოველთვის, ეხლაც ველური მრისხანების წინაშე ქედი მოიხადა და ლენინს მორჩილება გამოუცხადა. ამ წესით დამ ;ვიდრდა რუსეთში „ოქტომბრის რევოლუცია“. რომელსაც სფუძველად რუსის ხალხის მორჩილება და მონური ბუნება და მსოფლიო გეგემონიის ზრახვა დაედო.

მეფის რუსეთის მიერ უფლება აყრილი და დაპყრობილი ქართველი ერი დაუყონებლივ ეროვნულ-ისტორიულ ტრადიციის გზას დაუბრუნდა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ყველა უცხოელის აზრით, ამ პერიოდში, საქართველო „აბობოქრებულ ზღვაში მშვიდ ოაზის“ წარმოადგენდა და მის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას სუფფეველად ედო „გარეთ ზავი და შინ მშვიდობა“. ქართველ ერს არ ახსოვს ერთი ზედმეტი თოფის გასროლა (თუ არა გარეთან მომხდარებთან ომის შემთხვევაში), მას არ ახსოვს სა მოქალაქო ომი და ადამიანის ხორცის ჭამა. რო გორც კი რუსეთში ხდებოდა. დაუყონებლივ გაიხსნა ქართული მეცნიერების ეკა. სადაც თავი მოიყარა მთელ რუსეთის იმპერიაში სახელმოხვეჭილმა ქართველმა მეცნიერებმა. და უყონებელივ შეიქმნა მრავალი კულტურულ ეკონომიური დაწესებულებები და ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა. სახელმწიფო დარაჯად იდგა თავის მოქალაქის უფლებრიცხა და ქონებრივ შეუვალობას და საქართველოს კონსტიტუცია დღესაც სიამაყით და თავმოწონებით ჩაჯუჯრებს დასავლეთის ყველაზე უფრო დაწინაურებული დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს. ეს მოხდა სამი წლის განმავლობაში და ისიც 117 წლის სახელმწიფოებრივი ტრადიციის შეწყვეტის შემდეგ. თბილისი გადაიქცა აზრისა და გონების ჩქეფის ქალაქად. „უსამშობლოთა სამშობლოთ“ და ქართული მაპატიებელი ბუნების წყალობის. იქ თავისუფლად და უშიშრად ცხოვრობდნენ რუსეთიდან გამოქცეული ყოველი ჯურის და ფე-

ახალი ერა.

მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიაში გადატრიალება მოხდა და კორეაში ომი დაიწყო, კაცობრიობა დაფსაფუფდა ზიშით ცხოვრობს. ამ ორმა მოვლენამ გამოიყვანა დასავლეთი ბურუსიდან და მიახვედრა, რომ „მოკავშირე და მეგობარ“ რუსეთისაგან კარგს არას უნდა გამოელოდეს.

ამის შემდეგ მრავალჯერ გაისმა, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მეთაურების პათეთიური მოწოდება: შეეანელოთ საში შრომა დავიმუშაოთ ზავისა და მშვიდობიანობისათვისო, მაგრამ მოწოდებები რჩებიან „ხმად უდაბნოსა შინა“ და დაზავებული და უშიშარი ცხოვრებიდან მაინც შორსა ვართ. დღეს მოვლენათა ვითარება ყოველ ერს აიძულებს რათა მან გარკვეული პოზიცია დიაჭიროს და ან აღმოსავლეთის და ან დასავლეთის ბლოკში ჩადგეს. მრავალმა უკვე მიიღო გარდაწყვეტილება და თავისი შეგნებისა და

თვის მიწის დარიგების ნაცვლად საძულველი „კოლხოზები“ შეინარჩუნეს, სადაც გლეხებს ისევე უნდა ემუშავათ, როგორც საბჭოების დროს, ხოლო ამ ჟამად გერმანელების სასარგებლოდ.

გერმანიაში მუშა ხელის ნაკლებობის გამო უკრაინელებს აიძულებდნენ სამშობლო და ოჯახი ღატოვებინათ და გერმანიაში საბუშაო ბანაკებში წასულიყვნენ. სიმონი სწუხდა, იქნება ჩვენშიც ასე მოიქცნენო! ამას ისიც დაემატა, რომ სიმონი თავს შეურაცყოფილად სთვლიდა, რადგან ქართველი ოფიცრები ამ დროს გერმანელ ოფიცრებთან გათანასწორებულნი უფლებებით არ იყვნენ (ეს მოგვიანებით მოხდა ქართველი ოფიცრების მიერ სამხედრო სასწავლებელის დამთავრების შემდეგ)

ს. წიკლაურს „ძველი“ ქართველი ემიგრანტებიც არ უყვარდა. მათ უსარგებლო არა სასურველ „გადაგვარებულად“ სთვლიდა და მან ეს აზრი გერმანელებსაც კი გაუზიარა.

მეც ს. წიკლაურის მსგავსად ვიყავი შეწუხებული გერმანელების ზემოდ აღნიშნულ საქციელის გამო და ასევე იყვნენ ყველა ჩემი მეგობრები „ძველი“ თუ „ახალი“ ემიგრანტები. მაგრამ ჩვენ საკითხს საბოლოო შედეგებს თვალსაზრისით უყურებდით. ჯერ ერთი იმედი გვქონდა, რომ იქნებ გერმანიის განწყობილება აღმოსავლეთის ტერიტორიების მიმართ ,ამოცვლილიყო. მით უმეტეს, რომ გერმანიაში იყვნენ მეტად გავლენიანი პირები, რომლებიც ჰიტლერის პოლიტიკას არ იზიარებდნენ და ცდილობდნენ მის შეცვლას.

(გაგრძელება იქნება)

გ. გაბლიანი.

რის რუსობა, მათ შორის მრავლათ იყვნენ ისე თებიც, რომლებიც საუკუნის გასწვრივ სჯიჯგნიდნენ და სწუწავდნენ ჩვენ ეროვნულ სხეულს.

დამარცხებულ მტერთან ლმობიერება, პატიება და თვინიერება საქართველოს ძველი ძველი ტრადიციაა!

ასეთი იყო საქართველო თავის ეროვნულ ჩარჩოებში და ეროვნულ ვითარებაში. ვიდრე მას რუსული ოქტომბერი რისხვათ არ დაატყდა.

შეიძლება რუსული იმპერიალიზმის ამ ბედკრულმა პროპაგანდისტმა მართლა არ იცის, რომ 1921 წლის თებერვალში, მთელი ქართველი ერი, მისი ყოველი წრისა და ფენის ჰარმონიული თანამშრომლობით ჩაბმული იყო ერთ ეროვნულ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში და არ მოიძებნებოდა არც ერთი ქართველი, რომელიც რევოლუციაზე, ან აჯანყებაზე ფიქრობდა. ეს ხსენებული წერილის ავტორი გუ ლწრფელათა სცდება გადახედოს მოსკოვის არქივს და 1921 წლის დეკემბრის დღეებში „სოფნარკომის“ თავმჯდომარე ფ. მახარაძეს მოხსენებას გაეცნოს. იქ ამოიკითხავს: „რუსის ჯარის შემოსვლამ საქართველოში და იქ საბჭოთა წყობილების დამყარებამ აშკარა დაპყრობითი ხასიათი მიიღო.... საქართველოში არ აღმოჩნდა არამც თუ პარტიული იარეაკი, არამედ არც ერთი პარტიული კომუნისტი, რომელიც ხელისუფლების ორგანიზაციას მოახდენდა და ძალა-უფლებას საეჭვო წარსულის, ან სულ კრიმინალური ელემენტები დაეპატრონო“

„სამშობლოს ხმის“ კალმოსნების აზრით ეს მაჩვენებელია რომ ოქტომბერმა საქართველოს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა?

ყოველი ბრმისთვისაც ნათელია, რომ ოქტომბერის წარმომშობმა ერმა 1921 წელს საქართველო დაიპყრო და მას თავისუფლება წართვა. ოქტომბერმა საქართველოს მოუტანა მონობა. ოქტომბერმა საქართველოს აყარა ეროვნული უფლებები და ის რუსული იმპერიის საწველ ფურთან ე. ი. კოლონიათ აქცია. ხოლო როგორც თანდათანობით გამოირკვა კოლონიალური ფორმის ყველაზე უმრისხანესი გამოსახულება რუსული სისტემაა. არ წარმოგვიდგენია, რომ ეს „სამშობლოს ხმის“ კალმოსნებისათვის უცნობი ამბავი იყოს. მაგრამ ისიც ვიცით, რომ „საბჭოთა სამოთხეში“ სიმა რთლის თქმისათვის ყველა ისჯება. კომუნისტური ტირანების ყალში შექმნებისათვის, ისტორიის დამახინჯებისათვის და რუსული იმპერი ის ერთგულებისათვის კი პარტიულ მანდატს იძლევიან ან პრივილეგიურ „წითელ კლასში“ ირიცხებიან.

„საკუთარი ხელით ნაშენი გიგანტებიო“ ეს ალბათ „შრომის უფლებაში“ შედის. გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქტომბერმა საქართველოს არა მარტო შრომის უფლება, არამედ შრომის ვალდებულება მოუტანა თავისი ცნბილი იძულებითი შრომის ბანაკებით.

დიაღ, საკუთარი ხელით, ნატანჯვ ქართველ მუშის ხელით, ქართველი ერის დაუნდობელი ექსპლოატაციით „ნაშენი გიგანტები“, რუსული იმპერიიული მიზნით დაგეგმილი, და ნამედრო აგრესიული ზრახვებისათვის გამოსაყენებელი „გიგანტები“.

მტკვარზე ორი ხიდის გადება, ქალაქად თუ სოფლად რამოდენიმე ახალი სახლის აშენება, ან ძველის შეკეთებას ეწოდება „აყვავებული ქალაქები და სოფლები“? ქართველი ერისთვის ოქტომბერს რომ არ წაერთმია დამოუკიდებელი ცხოვრება და მოქმედების უფლება განა წარმოსადგენია, რომ ქართველობა ერთ წერტილზე გაიყინებოდა და ის არც ძველ სახლს შეაკეთებდა, არც ახალს ააშენებდა, არც გზებზე და ხიდებზე იზრუნავდა?

მართალია საკითხი წარმოსახითია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, რომელთაც რუსული იმპერიალიზმის სალარო მდიდრდება, გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ქართველი ადამიანის ნიჭს, გამჭრიახობას, საკუთრების ინტერეს. მუყაითი შრომის უნარს და სხ., თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ამ ხნის განმავლობაში თავისუფალი ქართველი ერი უფრო მეტ საგანძურ შექმნიდა, როგორც საკაცობრიო, ისე ქართული ეროვნული თვალთახედვით და ყოველი ქართველის ცხოვრების დონე ბევრით მაღალი იქნებოდა, ვიდრე „ეელიკერუსული“ ამბიციებს განხორციელების უღელ-ქვეშ მგმანავმა მიაღწია.

„ზრასია და გონების დიდი ზეიმი“? ამაზე გადაჭრითუნდა ითქვას, რომ არამც თუ სიყალბეა და ქვეყნიერების თვალის ახვევა, არამედ ბოროტებაა ქართელი ერის მიმართ.

ოქტომბრის მიერ წარმოშობილმა დებულებამ—„ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით ინტერნაციონალურ“-მა ჩააბმა ქართველი ადამიანის აზრი და გონება.

განა იმის დაფარვა შეიძლება თუ რამდენი უნიჭიერესი მწერალი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და სპეციალისტი მოსპო საბჭოთა ხელისუფლებამ? რამდენმა ცნობილმა მწერალმა, მის აღმავლობის ხანაში, ვერ შესძლო შეკვეთილი წერა და მისი ნიჭი ჩუმ პროტესტში მიიმალა. ვინ იცს რამდენ ნიჭს არც დაუწყია გაბუტრჩქენა, რადგან ვერ მოახერხა ფარისევლობა, ვერ შეახსო ხოტბა ჯოჯოხეთს, ვერ მო ახერხა დაეწერა ის რაც არ წარმომდინარეობდა მისი ცოდნის წიაღიდან. მისი განცდიდან და ქართული ისტორიის დიად მომენტების, ან მწარე სინამდვილიდან.

მხოლოდ ერთში ვეთანხმებით რუსული იმპერიალიზმის კალმოსანს, რომ „ერთ პატარა საგაზეთო წერილში, ძნელია ყველაფრის აღნიშვნა“.

და სათუთია თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნების, კერძოდ შეერთებული შტატების როლი და დანიშნულება. აზია-აფრიკის ახლად წარმოშობილი ერები და ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური შემომტკიცება; ეს არის დასავლეთის პირველი და გადაუდებელი ამოცანა.

ეს გარემოება მოითხოვს ახალ გამოსახულებას; ახალ პიროვნებას, ახალ რწმენას და გაბედულ მოქმედებას. იღბალზე ეს ახალი პიროვნება კიდევ გამოჩნდა, ახალი ენერგიით და ახალი იდეებით მოსული.

როგორც თავისუფალი-დემოკრატიული სამყაროს წამყვანი ქვეყანა—შეერთებულ შტატებში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ განსაკუთრებულად საყურადღებოა ამ ქვეყანაში ახალი პრეზიდენტის არრეკა. ახალი პრეზიდენტი და მისი ახალი ადმინისტრაცია ისტორიაში ქმნის ახალ ე. წ. კენედის ხანას. იმ რთულ საერთაშორისო მოვლენების დასაძლევად რომელსაც ახალი პრეზიდენტი შეეხეჭება, მოითხოვს არა მარტო მის პირად მაღალ ღირსებებს, მტკიცე გარდაწყვეტილებას და გონიერ მოქმედებას, არამედ მთელი მოსახლეობის ფიზიკურსა და მორალურ გაერთიანებას და თავის პრეზიდენტთან მჭიდრო, ეფექტიურ თანამშრომლობას. შეერთებული შტატების ყოველმა მოქალაქემ ნათლად უნდა გაითვალისწინოს ის ხვალინდელი საფრთხე, რომელსაც მეთოდიურად ამზადებს ჯოჯოხეთის ბნელი ძალა—რუსული კომუნიზმი.

თავისუფალი-დემოკრატიული სამყაროს გამჯანსაბის წინდაწინა პირობა ქვეყნიერების კეთილ მოწყობა, ადამიანის ღირსების და მისი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვაა. მისი ეკონომიური დონის ამაღლება და ხვალინდელი დღის უზრუნველყოფაა. ეს კი მოითხოვს მშვიდ და უშიშარ ცხოვრებას და აღმშენებლობით მუშობას.

კომუნიზმის სასიკეთლო წყარო კი ანარქიაა: სადაც ადამიანი ცხოვრობს ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ, სადაც გაუქმებულია მოქალაქეობრივი უფლებები და გასაკონტროლია სიღარიბე და სიღატაკე. ამგვარ ქაოსში ჩაისახა კომუნიზმი და ამგვარი ქაოსია მისი სულისმბრძანებელი.

ამიტომ თავისუფალ სამყაროს, და კერძოდ შეერთებულ შტატებს, დასჭირდება ბრძოლა არა მარტო იმისათვის, რომ იდეათა მკვეთრი ჩამოყალიბება მოხდეს, არამედ იმისათვისაც, რომ მოისპოს კომუნიზმის სულისმბრძანებელი სიღატაკე და ყოველ ადამიანს დაუბრუნდეს, ღვთით ბოძებული, თავისუფალი პირი ვნების უფლებები.

ამისათვის შეერთებული შტატების პირველი და გადაუდებელი საქმე იქნება თავისუფ-

---

ლ ქვეყნების, კერძოდ შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესები. აზია-აფრიკის ახლად წარმოშობილი ერები და ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური შემომტკიცება; ეს არის დასავლეთის პირველი და გადაუდებელი ამოცანა.

ეს გარემოება მოითხოვს ახალ გამოსახულებას; ახალ პიროვნებას, ახალ რწმენას და გაბედულ მოქმედებას. იღბალზე ეს ახალი პიროვნება კიდევ გამოჩნდა, ახალი ენერგიით და ახალი იდეებით მოსული.

როგორც თავისუფალი-დემოკრატიული სამყაროს წამყვანი ქვეყანა—შეერთებულ შტატებში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ განსაკუთრებულად საყურადღებოა ამ ქვეყანაში ახალი პრეზიდენტის არრეკა. ახალი პრეზიდენტი და მისი ახალი ადმინისტრაცია ისტორიაში ქმნის ახალ ე. წ. კენედის ხანას. იმ რთულ საერთაშორისო მოვლენების დასაძლევად რომელსაც ახალი პრეზიდენტი შეეხეჭება, მოითხოვს არა მარტო მის პირად მაღალ ღირსებებს, მტკიცე გარდაწყვეტილებას და გონიერ მოქმედებას, არამედ მთელი მოსახლეობის ფიზიკურსა და მორალურ გაერთიანებას და თავის პრეზიდენტთან მჭიდრო, ეფექტიურ თანამშრომლობას. შეერთებული შტატების ყოველმა მოქალაქემ ნათლად უნდა გაითვალისწინოს ის ხვალინდელი საფრთხე, რომელსაც მეთოდიურად ამზადებს ჯოჯოხეთის ბნელი ძალა—რუსული კომუნიზმი.

თავისუფალი-დემოკრატიული სამყაროს გამჯანსაბის წინდაწინა პირობა ქვეყნიერების კეთილ მოწყობა, ადამიანის ღირსების და მისი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვაა. მისი ეკონომიური დონის ამაღლება და ხვალინდელი დღის უზრუნველყოფაა. ეს კი მოითხოვს მშვიდ და უშიშარ ცხოვრებას და აღმშენებლობით მუშობას.

კომუნიზმის სასიკეთლო წყარო კი ანარქიაა: სადაც ადამიანი ცხოვრობს ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ, სადაც გაუქმებულია მოქალაქეობრივი უფლებები და გასაკონტროლია სიღარიბე და სიღატაკე. ამგვარ ქაოსში ჩაისახა კომუნიზმი და ამგვარი ქაოსია მისი სულისმბრძანებელი.

ამიტომ თავისუფალ სამყაროს, და კერძოდ შეერთებულ შტატებს, დასჭირდება ბრძოლა არა მარტო იმისათვის, რომ იდეათა მკვეთრი ჩამოყალიბება მოხდეს, არამედ იმისათვისაც, რომ მოისპოს კომუნიზმის სულისმბრძანებელი სიღატაკე და ყოველ ადამიანს დაუბრუნდეს, ღვთით ბოძებული, თავისუფალი პირი ვნების უფლებები.

ამისათვის შეერთებული შტატების პირველი და გადაუდებელი საქმე იქნება თავისუფ-

---

ლ ქვეყნების, კერძოდ შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესები. აზია-აფრიკის ახლად წარმოშობილი ერები და ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური შემომტკიცება; ეს არის დასავლეთის პირველი და გადაუდებელი ამოცანა.

ეს გარემოება მოითხოვს ახალ გამოსახულებას; ახალ პიროვნებას, ახალ რწმენას და გაბედულ მოქმედებას. იღბალზე ეს ახალი პიროვნება კიდევ გამოჩნდა, ახალი ენერგიით და ახალი იდეებით მოსული.

როგორც თავისუფალი-დემოკრატიული სამყაროს წამყვანი ქვეყანა—შეერთებულ შტატებში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ განსაკუთრებულად საყურადღებოა ამ ქვეყანაში ახალი პრეზიდენტის არრეკა. ახალი პრეზიდენტი და მისი ახალი ადმინისტრაცია ისტორიაში ქმნის ახალ ე. წ. კენედის ხანას. იმ რთულ საერთაშორისო მოვლენების დასაძლევად რომელსაც ახალი პრეზიდენტი შეეხეჭება, მოითხოვს არა მარტო მის პირად მაღალ ღირსებებს, მტკიცე გარდაწყვეტილებას და გონიერ მოქმედებას, არამედ მთელი მოსახლეობის ფიზიკურსა და მორალურ გაერთიანებას და თავის პრეზიდენტთან მჭიდრო, ეფექტიურ თანამშრომლობას. შეერთებული შტატების ყოველმა მოქალაქემ ნათლად უნდა გაითვალისწინოს ის ხვალინდელი საფრთხე, რომელსაც მეთოდიურად ამზადებს ჯოჯოხეთის ბნელი ძალა—რუსული კომუნიზმი.

თავისუფალი-დემოკრატიული სამყაროს გამჯანსაბის წინდაწინა პირობა ქვეყნიერების კეთილ მოწყობა, ადამიანის ღირსების და მისი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვაა. მისი ეკონომიური დონის ამაღლება და ხვალინდელი დღის უზრუნველყოფაა. ეს კი მოითხოვს მშვიდ და უშიშარ ცხოვრებას და აღმშენებლობით მუშობას.

კომუნიზმის სასიკეთლო წყარო კი ანარქიაა: სადაც ადამიანი ცხოვრობს ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ, სადაც გაუქმებულია მოქალაქეობრივი უფლებები და გასაკონტროლია სიღარიბე და სიღატაკე. ამგვარ ქაოსში ჩაისახა კომუნიზმი და ამგვარი ქაოსია მისი სულისმბრძანებელი.

ამიტომ თავისუფალ სამყაროს, და კერძოდ შეერთებულ შტატებს, დასჭირდება ბრძოლა არა მარტო იმისათვის, რომ იდეათა მკვეთრი ჩამოყალიბება მოხდეს, არამედ იმისათვისაც, რომ მოისპოს კომუნიზმის სულისმბრძანებელი სიღატაკე და ყოველ ადამიანს დაუბრუნდეს, ღვთით ბოძებული, თავისუფალი პირი ვნების უფლებები.

ამისათვის შეერთებული შტატების პირველი და გადაუდებელი საქმე იქნება თავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანახი და ნააზრები.

სვიმონ კვიტაშვილი და მის გარშემო.

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი“-ს 42 ნომ.)

ბაქრში საქმიანობდა ძლიერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავისი ქართული სკოლით, სადაც ყვაოდა ქართული დრამატიული დასი. ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეთ იყო თამარა თარხნიშვილი-დადიანისა და მას გვერდს ედგა მართა მიქელაძე-კვიტაშვილისა. ბაქოელი ქართველობა ხელს უწყობდა საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და გამომცემლობებს, როგორიც იყო „ნაკადული“ და „ჯეჯილი“ და ექვთიმე თაყაიშვილის საქმიანობას. უკანასკნელის სამეცნიერო გამომცემლობების ხელის შეწყობის, პირადი მონაწილეობით, თუ ფინანსიური დახმარებით პირველობა ა. სარაჯიშვილს ეკუთვნის, მაგრამ ბაქოელებიც ამაში მონაწილეობას იღებდნენ. გაზეთი „საქართველო“ ყოველდღიურ გამოცემად იქცა და ამის მოწყობაში და მისი საკუთარი სტამბის შეძენაში ბაქოელებს დიდი წილი მიუძღვით

საქართველოს მიწის მუშების და მიწის მფლობელების ინტერესების დაცვაში თავადაზნაურობის ბანკი თავის დიდ როლს ასრულებდა, მაგრამ მრეწველობის და ვაჭრობის აღმავლობისათვის ქართველებს ბანკი არ ჰქონდათ და სომხურ სავაჭრო ბანკს მეტოქე არ ჰყავდა. ქართული ბანკის შექმნა და ამისათვის რუსეთი კანონით საჭირო მილიონ ნახევარის კაპიტალის შეგროვება გახდა ბაქოელი ქართველებისათვის, ათეული წლების მანძილზე, მზრუნველობის საგანი. როცა კაპიტალი შეგროვდა და „კავკასიის ბანკი“-ს სახელწოდებით ბანკის გასახსნელად თხოვნა შაიტანეს, გამოვიდა ახალი კანონი სამი მილიონი ძირითადი კაპიტალისა და საქმე ისევ შეჩერდა. ამ მარცხიდ ისარგებლა სომხურმა ბანკმა და „კავკასიის ბანკის“ სახელწოდება მიითვისა. ბოლოს, როცა დიდი ჭირ-ვარამით სამი მილიონი მაინც შეგროვდა, ქართველები დაკმაყოფილდნენ „ამიერ-კავკასიის ბანკის სახელწოდებით. ქართული სავაჭრო ბანკის შექმნა ა. ლორთქიფანიძეს მთელი სიცოცხლის ოცნება იყო და ამისათვის ენერგიულად იღვწოდა. ის ჯერ ვლადიკავკაზის საკredიტო საზოგადოების დირექტორი გახდა და ბოლოს მაინც ეღირსა ამიერ-კავკასიის ბანკის“ ხელმძღვანელობა. დამოუკიდებლობის დროს კი ის იყო სახელმწიფო ბანკის დირექტორი. მისი უფროსი ვაჟი ნიკოლოზი მძიმედ დაჭრა ტაბახმელის ბრძოლებში, საბჭოთა რუსეთის შემოტევების დროს.

ბაქოელ ქართველებმა მიერ დაწყებული რიონის ჰიდროგრაფიული პირობების შესწავლა, შემდეგში რიონჰესის აგებისათვის გამო იყენეს. ნავთლუღის და ივრის ველის ნავთის მრეწველობაში ბაქოელ ქართველებს ეკუთვნის პირველობა.

ბაქოს ქართველობას ჰქონდა ურთიერთობა რუსეთის იმპერიაში არსებულ არალეგალურ ან ნახევრად ლეგალურ ცენტრებთან და მათ საქმიანობასთან. ალბად, უმთავრესად პეტერბურგის ქართველების ხაზით. ეს უკანასკნელი ვითარება არსებობდა საქართველოში უკვე მესამეცე წლებიდან და შენარჩუნებული იყო მთელ გვარეულობებში, როგორიც არიან; ჩოლოყაშვილი, ღოღობერიძე, ჯაკობშვილი, თოლაშვილი, წერეთელი და სხ.

ომის დასაწყისში პარიზში გარდაცვლილ ივანე ზურაბიშვილს ამის საიდუმლოება არ გამოუმჟღავნებია, არც ალ. ქორქიას. ბევრი რამ ეცოდნენ, თვითონ პარტიული ხაზით, დღეს პარიზში მცხოვრებ იოსებ გობეჩიას.

გარდა რუსეთის მიწნინავე ინტელიგენციასთან დაკავშირებული საქმიანობასთან, ქართველთას ჰქონდა გამორჩენილი ბერეთელი, საკუთარი თაოსნობაც. ამ დარგს ეკუთვნის ფრთიერითობა ვ. ჩერქეზიშვილთან ლონდონში, გ. დეკანოზიშვილის მუშაობასთან საფრანგეთში და გ. გვაზავას მოგზაურობასთან ჰაადში, საქართველოს ოერიდიული ფულებების დასაცავად. ამ და ამდაგვარ საქმეებში ბაქოელი ქართველები ენერგიულად მონაწილეობდნენ.

დიდი რევოლუციების და მტრის შემოსევის სისხლიანი კანონი ულმობელია. ის ძირითადად სწყვეტს ნორმალური აზროვნების ვითარების კავშირს წარსულთან და სტოვებს შეუსებელ ხარვეზებს. როცა კი ნაგუბარში ჩადის წყალი და დაწყნარებული თაობა თავისი აზროვნებისათვის ეძებს ძირითად დასაყრდნობს ბუნებრივ აღმავლობისათვის—ეს სისხლიანი ლაქების ხარვეზები აბრკოლებენ მას; აკოჭლებენ. საქართველოს ისტორია საესებ მტრის მიერ ამოთხრილ ამგვარი ხარვეზებით. დღეს, რუსეთის ლიტერატურა, და მეცნიერება დიდ ცდაშია შეაკავშიროს აწმყო წარსულთან თანამედროვე ქართველობა დგას იმავე ამოცანის წინაშე, მაგრამ პატარა, დაჩაგრული ერისათვის ეს ბევრად უფრო ძნელია, თუ არა მთლად შეუძლებელი, დღევანდელ პირობებში. ჩვენში თავისუფალი აზროვნების ნახევარი საუკუნის სიცარიელე შევსებულია გაყალბებული მოგონებებით და თავისუფლებისთვის მებრძოლთა უმანკო სისხლით. ასეთივეა სურათი 19-ტე საუკუნის დასაწყისის ნიკოლოზ ბარათაშვილამდე; ძლიერს აღდგენილმა, მიუხედავად სასტიკი ცენზურის, ქართულმა აზროვნებამ ვერ გაიღო ბუნებრივი ვითარების ნაყოფი მეოცე საუკუნეში.

რევოლუციის ვითარების შედეგად, როცა ბაქოელ ქართველების მოღვაწეობაც შეწყდა, საქართველეში დამოუკიდებლობის დროს, ან შემდეგ, ბაქოელმა ქართველებმა, შინ თუ საზღვარგარეთ, შეინარჩუნეს თავისი შეგნება და მამულიშვილობა. ზოგმა საქართველეშიც მოიხვეჭა სახელი, როგორც ალ. ყორეფოლანმა, ზოგი დაიხვრიტა, როგორც უნიჭიერესი ქიმიკოსი, გ. ციცინეული.

მოსაგონებელია ილია ჯიუშკარიანის ბედიც. მან დაამთავრა ოთხმოცდაათიან წლებში ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის პეტერბურგში და მათემატიკის მასწავლებლად დაინიშნა სადღაც შუა-აზიაში და მერე ბაქოში იყო გიმნაზიის ინსპექტორად. ქართველი ამხანაგები ალმაცერად უყურებდნენ მის ყოფა-ქცევას, მას სთვლიდნენ გადამდგარად და დასცინოდნენ მის გაბარებულ ტირილს, როცა მან ანას ორდენი მიიღო. ის იყო არაჩვეულებრივი ლოგიერი აგებულობის კაცი და კარგი ატლეტი. მან დაწერა არითმეტიკის და ალგებრის რამოდენიმე სახელმძღვანელო. მას თითქოს პირადი კარიერის გარდა არაფერი აინტერესებდა. მაგრამ თუ რომელიმე მის ქართველ მოწაფეთა განს ეღირსებოდა სახაზინო ბინაზე მის სამუშაო ოთახში შესვლა, ის ნახავდა გასაოცარ სურათს: კედლები მოფენილი იყო სამხრეთ საქართველოს და შუა აზიის რუკებით, რაღაცა წითელი ფანქრით აღნიშნულ-ნახაზებით. მახსოვს ორ ჩვენგანს: ილია ჯიშკარიანი გვიხსნიდა ქართველ ტომების წარსულს, თამარ მაფის ხანას, და ალბათ პირადი ფანტაზიით შეთხზზულს ქართველების ლომბოოს ჭამის და კავშირებას ყარსის ციხის ამბებთან.

დამოუკიდებლობის დროს ი. ჯიშკარიანი დაინიშნა ხაზრიის გიმნაზიის დირექტორად და გამოუშვა გამოკვლევა „ვეფხის ტყაოსან“-ზე. 1918 წლის დეკემბერში ის თავის მოწაფეებთან ერთად მოხალისედ წავიდა საქართველოს დასაცავად სამხრეთიდან შემოსეულ დენიკინ-სომხურ ჯარების წინააღმდეგ.

სადღაც, ფრონტის ახლოს, კოხის ციე ნიადაგზე, სამხედრო ფარაჯით ის გარდაიცვალა ტიფის ავადმყოფობით.

ილია ჯიშკარიანის ბედი ვერ ჩაითვლება ადამიანთა ცხოვრების გამონაკლისად, მაგრამ სამაგალითოა. მის ფსიქოლოგიურ ახსნა-განმარტებაში, მისი ნამდვილი განცდის გასაგებად, ალბად ტყეიფოდან დაიკარგებოდა დრო; ატავიზმი, ყარსი, პეტერბურგი, ბაქო? ვინ იცის? სხეულის, სისხლის და შეგნების გადაბლა-რთული ჯაჭვი არ ემორჩილება ზუსტ მატერიალიურ ანალიზს.

სვიმონ კვიტაშვილის ბედი სხვა შინაარსია. მას ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, რომელიც დღეს საზღვარგარეთაც ძალაშია. თუ მსოფლიოში გაფანტულ ქართულ სათვისტომოებს, გასაკვი ხელისშემშლელი პირობების გამო, ხშირად აკლიათ სიფიცხი და მოთმინება და მათში, ხანდისხან თავს იჩენს შური, შუღლი და მლიქნელობა. მათ სწორედ აკლიათ ს. კვიტაშვილის მსგავსი წერილები. სწორედ მის მონაწილეობით ბაქოს სათვის ტომი ჩაითვლება ქართული საზოგადოებრივი ნაყოფიერი საქმიანობის საუკეთესო მაგალითად.

დღეს, როცა ჩვენ უძლურნი ვეესწრებით სომხურ-აზერბაიჯანულ თანამშრომლობას და მეგობრობას, ჩვენ აღმოსავლეთის საზღვრებზე, თითქოს ქართველების მონაწილეობის გარეშე და არსებული პირობების გამო შეუძლებელია იმის მსგავსი წრის აღდგენა, როგორშიც მოღვაწეობდა ს. კვიტაშვილი. მისი სიკვდილი უნენლიედ გვგონნენს იმ ზარალს, რომელსაც განიცდის ქართველი ერი, როცა არაკინ არ დგას მის გუშაგად კასპიის ზღვის ნაპირას.

მოუხედავად განვლილი დროის და უცხოეთის მრავალ ქვეყნებში გაფანტულობის, ბაქოსთან დაკავშირებულმა ქართველობამ შინაარჩუნა ერთმანეთისადმი ერთგვარი ფაქიზი გრძნობა და მეგობრობა. ამ სტრიქონების დამწერმა ნახევარი საუკუნის მანძილზე განიცადა ამ ურთიერთობის სითბო.

მრავალად ვალდებულს მას არ შეუძლია განსაკუთრებით არ მოიგონოს ის დაოფასებელი ზნეობრივი დახმარება, რომელიც მას მოუვიდა დიდსა გასაჭირსა, უსაყვარლესი მისი დედობილი არიანა წულუკიძე-ურატაძისაგან.

და თუ დღეს მან სკადა მის ახალგაზრდობაში ზოგიერამ ნახულის და გაგონილის აღდგენა, სვიმონ კვიტაშვილის გარდაცვალების გამო და სძლია უაბლოესი ნათესავების დამეგობრების მოხსენიებით წარმოშობილ უხერხულობას, ეს მან ჩაიდინა უშუალო გაელენით და ჩაგონებით გრ. ალშიბაიას ქერიეის—ბარბარე კიზირიასი. თუ ვერ ქნა როგორც ქალბატონ ბაბის ეგონა—შეუნდეთ შეცოდებანი და ს. კვიტაშვილის და ბაქოელ ქართველების მოღვაწეობა მოუცდის უკეთეს აღმწერელს.

გ. ჯაყელი.

„ფეხსაცმელის კულტი“

როდესაც ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ყრილობაზე—99 ერის წარმომადგენლების თანადასწრებით მაგიდაზე მუშტის რტყმის შემდეგ ფეხსაცმელი გაიხადა და ის ურტყა, დასავლეთელი საზოგადოებრივი აზრი ორად დაიყო მის შეფასებაში.

ერთნი ფიქრობდნენ ხრუშჩოვმა ეს წინასწარი განზრახვით, გაერთიანებული ერების დასამცირებლად ჩაიდინა.

მეორენი ფიქრობდნენ, თითქოს ხრუშჩოვმა დაკარგა თავისი თავის კონტროლი და არამც თუ ფეხსაცმელს, ატომური ყუმბარა რომ ქონოდა იმასაც იხმარებდაო.

ჩვენის აზრით კი ხრუშჩოვის საქციელის ახსნა კომუნიზმის ტრადიციებში უნდა ვეძიოთ და არა ნიკიტას ბუნება-თვისებებში.

როგორც ერთ დროს ბეკანმა დაახასიათა „ხრუშჩოვი ისტორიის უდიდესი კომედიანტია“ და სხვა არაფერი. მან ოვივე სცენა გაიმეორა, რომელიც ლენინმა რუსეთის ანარქიის დროს არა ერთხელ გაითამაშა.

1917 წელში კომუნისტების ტაკტიკა იყო გაიმასხარავებინათ ყოველი ორგანო, რომელიც ასე თუ ისე ხალხის ნდობას ატარებდა და რომლის კონტროლიც მათ ხელში არ იყო. მას შემდეგ მართალია 44 წელი გავიდა, მაგრამ კომუნისტების ლოღიკა და მოქმედების ტაკტიკა არ გამოცვლილა.

1917 წელში, რუსეთის ე. წ. დამფუძნებელი კრებაში ბოლშევიკების დიდი უმცირესობით იყვნენ წარდგენილნი. მათ არ შეეძლოთ არამც თუ თავის სურვილების თაეზე მოხვევა დელეგატებისათვის, არამედ ოდნავი გავლენის მოხდენაც კი. ამიტომ ლენინი სხვა და სხვა ხერხებს მიმართავდა, რათა მაყურებლისათვის ან სხვა პარტის მერყეევი წევრებისათვის დაენახვებინა, რომ ის ამ ყრილობას არავითარ ანგარიშს არ უწევს და არც არის მხედველობაში მისაღები. მაგალითად, ცნობილია, რომ ის ხშირად, თითქოს იძინებდა დეპუტატის სკამზე. ამით ლენინი ამყოვანებდა სახალხო წარმომადგენლობის არარაობას და საკანონმდებლო ორგანოს უმიზნობას.

1960 წელში გაერთიანებულ ერებში დემოკრატიული ქვეყნები დიდი უმოაელესობით იყვნენ წარდგენილნი. ლენინის მიმდევრები იძულებულნი იყვნენ ლენინის „ტაკტიკა“ ეხმარათ, ხოლო ძილის მოგონების მაგიერ ფეხსაცმელი ურტყეს.

ხრუშჩოვის ყოველი ვეესტი წინასწარ იქნებოდა გათვალისწინებული კრემლში და მას რაიმეს „ექსპრომტად შექმნა“ არ დასჭირდებოდა. მან რუსეთიდან ჩამოუტანა გაერთიანებულ ერებს შეუფერებლობა და პროოკაციული პოლიტიკა. მართალია მისი საქციელი შეუფერებელი იყო დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის, საზოგადოებრივი მორალი და ეთიკისათვის, მაგრამ რუსებს სამოლოო მიზანი აინტერესებთ და არა მორალი, ან ეთიკა!

ამა გადახედეთ თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნების პარლამენტებს. განა ცოტას იპოვეთ ხრუშჩოვის მსგავს მაგალითებს? ვირდეკოომუნისტები იმედოვნებენ, რომ შესაძლებელია ხალხის გაბრიყვება და მათი დახმარებით ძალა-უფლების ხელში ჩაგდება—ისენი საუკეთესო პარლამენტარები და ხალხის ნებასურვისილოს დამცველნი არიან. არც ერიდებიან სხვა პარტიებთან „კოალიციას“ და გულუხვად სთავაზობენ მოკავშირეობას და მხარის დაჭერას. ხოლო საკმარისია დარწმუნდნენ (და ეს ყველგან ერთნაირად მოხდა) თავიანთ უსუსურობაში, რომ ხალხი შეცდომაში ვერ შეიყვანეს და ნიანგის ცრემლებმა არ გასჭრა, მაშინ დაუყოვნებლივ წინაღიღებიან ხალხის სუვერენულ უფლებებს და იარაღს დავლებენ ხელს.

ასე ჩაისახა 1917 წ. ოქტომბერი რუსეთში. ამავე ლოღიკით შექმნა ხრუშჩოვმა გაერთიანებულ ერებში ფეხსაცმელით რახუნის „კულტი“ და ანალოგიებს უხვად ეიპოვით პრაგისა და ბუდაპეშტის „დემოკრატიულ პარლამენტებში“.

„ფეხსაცმელების კულტის“ ავტორი ლენინ სტალინის ბრწყინვალე მოწაფეა, ძველ რუსულ ანყით გაეღენთილ ლიტერატურაზე აღზრდილი, მაგრამ თვით „კულტი“ საუკეთესო პასუხია დასავლეთის დარბაისლური დიპლომატის გამაოგვებისა. ხრუშჩოვმა ამით დაამტკიცა, რომ ის არა სცნობს არც ერთ საერთა შორისო ორგანიზაციის მორალურ ავტორიტეტს, რომელიც არ მიიღებს მის კარნახს და საკითხს დემოკრატიული წესით გადასწყვეტს.

თუ კრემლის დიკტატორი ნიუ-იორკში ვერ იტანს მოწინააღმდეგის აზრის მოსმენას და არ შეუძლიან მსოფლიო ორგანიზაციაში ლოიალურად იმსჯელოს, აღვილი წარმოსადგენია რა ფასი და მნიშვნელობა ექნება მოსკოვში გამართულ შინა ყრილობებს, რომლებსაც „ყოველად დემოკრატიული კონსტიტუციის“ საფუძველებზე ხშირ-ხშირად აწყობენ!

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.

ახალი ერა.

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე.)

ალ სამყაროს ეროვნული ორგანიზაციებისაგან ერთი ინტეგრალური ძალის შექმნა. ძალა და მხლოდ ძალა ალაგმავს საღერღელ აშლილ კომუნიზმის აგრესიულობას და არა „თანა არსებობის“, ან „დაძაბულობის შენელების“ გამო გამართული ბჭობა.

დასავლეთმა წინ უნდა წამოსწოოს და გადა უდებელ საქმედ აქციოს თავისუფლების პრინციპის დაცვა და განთავისუფლდეს არაფრის მთქმელ და არაფრის მომასწავებელ უაზრო მშვიდობიანობის პრინციპისაგან, რომელიც ბოლშევიზმის მეთაურებმა დასავლეთს თავს მოახვიეს გზა-კვალის ასარევად და სადმეგო გიოდ. თავისუფლების პრინციპის დაცვით თავისუფალი სამყარო გამოგლეჯავს ინიციატივა მოსკოვს, რომელიც უკანასკნელი ათი წლ ის განმავლობაში მას ხელთ უპყრია და ამით სათანადო გავლენასაც ახდენს ეროვნულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ერებზე. თავისუფლების პრინციპის დაცვით დასავლეთს შეუძლიან გააშშველოს მოსკოვის ბოროტი ზრახვები და კაცობრიობას დაანახოს, რომ მის მერ დემაგოგიურად ნახმარი „თანაარსებობა“, „კოლლნიალიზმი“, „მშვიდობიანობა“ და სხ., მიამტე ადამიანის თვალში ნაკარის შესაყრელად არის მოგონილი და სინამდვილეში მოსკოვი თავისუფლების დაუძინებელი მტერია.

მოსკოვთან მოლაპარაკების დროს ეს იქნება ის ძლიერი პოზიცია, რომელიც განამტკიცებს დასავლეთის თავისუფალი ქვეყნების პოზიციას; აამღლებს და გაზრდის თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებში დასავლეთის სიმპატიას, ნდობას და პრესტიჟს, რაც მისი გამარჯვების წინდაწინი პირობაა.

ვ. სანგულია.

ხმა ჯოჯოხეთიდან.

(დასაწყისი იხ. მეორე გვერდზე)

რის სანატორიუმია, ქართული ენის მოსმენა თუ გსურთ აქ ახლო-მახლო სოფლებში უნდა წახვიდეთ“-ო.

აი ტრაღედია... საბჭოთა კავშირში კურორტზე და სანატორიუმებში თავისი ნებით ვერავინ წავა. ადგილები ნაწილდება ფაბრიკ-ქარხნებზე და დაწესებულებებზე. ადვილი წარმოსადგენია, თუ ორას მილიონ მოსახლეობიდან სამ მილიონ ქართველთას რამდენი ადგილი და როდის შეხვდებათ!

როგორაც ვხედავთ, ოქტომბრის წყალობითა და მზრუნველობით, ქართველ ადამიანს არა აქვს უფლება „წალკოტად ქცეულ“ კურორტებით ისარგებლოს, მშობლიური ჰაერით თავისუფლად ისუნთქოს და განიკურნოს.

ასეთია ოქტომბრის მონაცემი, რომელმაც საქართველო გაანთავისუფლა თავის ეროვნულ მისწრაფებებისგან, ცდილობს დააშროს ეროვნულ ტრადიციებს და მისცეს „თავისუფალი და სავალდებულო შრომის უფლება“, რათა გაამდიდროს რუსული სალარო და ქართველი ხალხი რუსულ აგრესიულ იმპერიალიზმს ამსახუროს.

ამას უწოდებს ჯოჯოხეთის ხმა თავისუფლებას და სანეტარო ცხოვრებას!?

ი. მენთეშაშვილი.